

**გლობალური დათბობის ფონზე კლიმატის ცვალებადობის გავლენა მდინარის
ჩამონადენზე (მდ. ვერეს მაგალითზე)**

მერაბ ალავერდაშვილი, დარეჯან კიკნაძე, ნუნუ ცინცაძე, ნესტან ხუფენია, ნანა კოკაია

ელ-ფოსტა: merab.alaverdashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

გლობალური დათბობის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინსტრუმენტულ ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებათა სისტემას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაკვირვებები მდინარე ვერესზე და ლაბორატორიის ტერიტორიაზე ტარდება 1962 წლიდან დღემდე, სადაც აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

ჩვენ ამოცანას წარმოადგენდა დაგვედგინა გლობალური დათბობის ფონზე გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის (1991-2000) და ახალი საუკუნის პირველი 12 წლის (2001-2012) მეტეოროლოგიური მონაცემების (ატმოსფერული ნალექები - h მმ, ჰაერის ტემპერატურა - t° , ფარდობითი ტენიანობა - % და აორთქლება - E მმ) შედარება ერთმანეთთან და მიღებული ცვალებადობის გავლენა მდინარე ვერეს შესაბამისი პერიოდების ჩამონადენზე. მივიღეთ, რომ ნალექები გაიზარდა 439 მმ-დან 540 მმ-მდე, ჰაერის ტემპერატურა - 12.6° -დან 13.5° -მდე, ფარდობითი ტენიანობა - 69.2 %-დან 78.2 %-მდე, აორთქლება კი შემცირდა 494 მმ-დან 303 მმ-მდე. ყოველივე ზემოთხსენებულის შედეგად მდინარე ვერეს საშუალო მრავალწლიური ხარჯი 0.87 მ³/წმ-დან გაიზარდა 1.30 მ³/წმ-მდე - 49%-ით, რაც კლიმატის გლობალური დათბობის შედეგია.